

ადგილობრივი ჭრელი იხვის წარმოშობის თაობაზე სარწმუნო წყაროებში ინფორმაცია არ მოიპოვება. ამ ფრინველის პროდუქტიულობის და სხვა ბიოლოგიური თავისებურებების შესახებ გასული საუკუნის 70-იან წლებში პირველად შეისწავლილი იქნა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია მამალი და დედალი ჭრელი იხვის დახასიათება:

მამალი იხვი : სხეული დაფარულია ყავისფერ შავში გარდამავალი ფერის, ხოლო კისერი კი მოშავო-მომწვანო მზინავი ბუმბულით; კისერზე აქვს თეთრი ზოლი (3-5)ამოგრეხილი ბუმბულით ბოლოზე;

დედალი იხვი: „მწყრისფერია“, მისი სხეული მთლიანად დაფარულია შავი მოზაიკურზოლებიანი ყავისფერი ბუმბულით.

მამალს ნაზი, ჩუმი ჩურჩულისმაგვარი ხმა აქვს, დედალი კი საკმაოდ ხმამაღლა ყიყინებს.

ორივე სქესის იხვს ტერფი, ძირითადად, ყვითელი ფერის აქვს, ხოლო ნისკარტი ყვითელი-მონაცრისფრო ლაქებით.

ადგილობრივი ჭრელი იხვი (საქართველოში შემოყვანილ პეკინურ იხვთან შედარებით) დაბალპროდუქტიულია. მამლების ცოცხალი მასაა (1,8-2,2) კგ, დედლების კი - (1,3-1,5) კგ. ორივე სქესის ფრინველისთვის დამახასიათებელი თვისებაა კანქვეშ საკმაო რაოდენობით ცხიმის დაგროვების უნარი.

ექსტერიერით და პროდუქტიულობით ადგილობრივი იხვი შეიძლება მეკვერცხულ ჯიშებს მიეუთვნოს. საშუალო კვერცხმდებლობა (50-70) ცალია, ცალკეული ინდივიდები კი იძლევიან (80-100)ცალ, (65-70) გრ მასის თეთრი ფერის კვერცხს. მოკრუხების ინსტინქტი კარგად აქვს განვითარებული- დედლების(50-60)% კრუხდება, რასაც საკარმიდამო მეფრინველეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გამოჩეკის პროცენტია(65-70) . ჭუჭული ხასიათდება მაღალი სიცოცხლისუნარიანობით; პირველი დღეებიდანვე ის ბუნებრივ პირობებში საკმაოდ აქტიურად მოიპოვებს საკვებს და სწრაფად იზრდება. მამლები მონოგამურები არიან, უწყვილდებიან მხოლოდ (2-4) დედალს. სასურსათო კვერცხს კარგი გემო აქვს, რასაც ძირითადად განაპირობებს ბუნებრივ პირობებში შენახვა და საკვები.

დღევანდელი მდგომარეობა: ადგილობრივი ჭრელი იხვის ორგანიზებული ფერმა საქართველოში არ ყოფილა. შესაბამისად, მისი მოშენება დღესაც სტიქიურად მიმდინარეობს. დღეისთვის ჭრელი იხვი, მეტ-ნაკლებად, გავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ უპირატესად გვხვდება სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რაიონების წყალუხვი ზონების ერთეულ მოყვარულთა საოჯახო მეურნეობებში. მათ რაოდენობაზე სარწმუნო ცნობები არ მოიპოვება.

„საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესების, გენეტიკური ბანკის შექმნის,“ და მეფრინველეობის

სანაშენე ბირთვის ორგანიზების მიზნით, მოძიებული და შესწავლილია ადგილობრივი ქათმის, ჭრელი იხვის და ჯავახური ბატის პოპულაციები.

იხვი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფრინველია მსოფლიოში, მისი მოშინაურება გარეული იხვისაგან (*Anas boschas*) რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად მოხდა.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ იხვის მოშენებას საბერძნეთში ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე 3 საუკუნეში მისდევდნენ. დაახლოებით ამ პერიოდში იხვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც აშენებდნენ. ამერიკაში კოლუმბის აღმოჩენამდე მუშკიანი იხვი (*Galina moschata*) მოშინაურებული იყო.

გარეული იხვი გადამფრენი ფრინველია, ძირითადად გავრცელებულია აზიასა და ევროპაში. იგი ითვლება წყალსატევის ფრინველად. მისი ცოცხალი მასა 1,0-1,3 კგ-ია.

იხვები მიმოფრენი ფრინველებია. საქართველოში 8 გვარის 12 სახეობაა, რომელთა უმრავლესობა აქ მიმოფრენისა და ზამთრის პერიოდებში გვხვდება. ზოგი ბუდობს კიდევ ზოგიერთი შიდა წყალსატევეების ნაპირებზე. საქართველოში (ჯავახეთში) მოზუდარი იხვებიდან აღსანიშნავია: წითელი იხვი (*Casarca ferruginea*), თეთრშუბლა იხვი (*Anas penelope*), გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), წითელნისკარტა ყურყუმელა (*Netta rufinae*), ქოჩორა ყურყუმელა (*Nyroca fuligata*) და სხვა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით იხვები საქართველოში მე-17 საუკუნეში მოაშენეს. მათ აქვთ გემრიელი ხორცი, ისინი კარგად ცურავენ და დაფრინავენ. იხვები მიეკუთვნებიან გადამფრენ ფრინველებს.

ანტარქტიდის გარდა იხვები ყველგან არიან გავრცელებული. ისინი მასიურად ცხოვრობენ: ევროპა, აზია, ჩრ. აფრიკასა და ჩრ. ამერიკაში. მათი წარმომადგენლებია: ნამდვილი იხვები (*Anatinae*); მეხეური იხვები (*Dendrocygninae*); **ჭრელი იხვები** (*Stictonettinae*); ამლაცი იხვისებრნი (*Tadorninae*); თეთრზურგა იხვები (*Thalassorninae*), ასევე ყვინთიები და ბატასინები. სულ 110 სახეობაზე მეტია გავრცელებული.

იხვები მიეკუთვნებიან ბატისნაირთა რიგის იხვისებრთა ოჯახს. საშუალო და დიდი ზომის ფრინველებია. კარგად ცურავენ და ფრენენ. აქვთ სარეწაო მნიშვნელობა. ნამდვილ იხვებს გემრიელი ხორცი აქვთ. წონა მერყეობს 250-იდან 2000 გრამამდე. ყვინთიებისა და ბატასინების ხორცი უფრო დაბალი ღირსებისაა.

გარეული იხვი (ლათ. *Anas platyrhynchos*)

— ფრინველი იხვისებრთა ოჯახისა. შინაური იხვის წინაპარი.

მისი სხეულის სიგრძეა 50–56 სმ, მასა — 1–1,5 კგ. ახასიათებს სქესობრივი დიმორფიზმი; დედალი ფერად მოყავისფროა, შეჯვარების სეზონზე მამალს მწვანე თავი, თეთრი საყელო, მურა-რუხი ზურგი, შავი კუდის ზედა ნაწილი, შოკოლადისებრ-ყავისფერი მკერდი და მორუხო მუცელი აქვს; ფთებს გასდევს კამკაშა ფერის (თეთრი, შავი და ლურჯი) ზოლები. მამალს კუდზე საჭის აპრეხილი

ბუმბული აქვს. თითებს შორის აპკი აქვს გადაკრული, რაც ცურვაში ეხმარება. მამლის ნისკარტი ყვითელია.

ფართოდ გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში (სამხრეთით — მექსიკამდე, ხოლო აღმოსავლეთით — გრენლანდიამდე); ინტროდუცირებულია აფრიკაში, ახალ ზელანდიაში, სამხეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიაში. საქართველოში მოხუდარი იხვია, ბინადრობს მცირე რაოდენობით, ზამთრობისას ბევრია. ძირითადად ბინადრობს ტყისა და ტყესტეპის ზონაში, წყალსატევებთან (მტკნარშიც და მარილიანშიც) ახლოს; გვხვდება ქალაქის პარკებისა და წყალსატევების მიდამოებშიც.

გამრავლებას 2 წლის ასაკიდან იწყებს. დედალი დებს (7–16) ცალ თეთრ, მომწვანო-ჩალისფერი ელფერის მქონე კვერცხს. ინკუბაცია 28 დღე-ღამე გრძელდება. დედალთა რიცხვის შემცირების შემთხვევაში, მამრები სხვა სახეობის იხვებს ეჯვარებიან. ცოცხლობენ (7–10) წელი.

იკვებება მცენარეებით, უხერხემლოებით; დასახლებულ ადგილებში — ადამიანის მიერ მიცემული საკვებითაც, განსაკუთრებით პურით. საკვებს მოიპოვებს წყალშიც და ხმელეთზეც. წყალში საკვების ძიებისას შეუძლია ჩაყვინთვა, რა დროსაც მთელი ტანით ამოყირავდებიან ხოლმე.

ნადირობის ობიექტია, იყენებენ მის ხორცს. საქართველოს კანონმდებლობით, მასზე ნადირობა 10 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდე ნებადართულია მხოლოდ ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, დღიური ლიმიტი — 5 ცალი; ხოლო 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე ყველგან, გარდა ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა, დღიური ლიმიტი — 6 ცალი.

დასახელებული ჯიშებიდან განსაკუთრებით დიდი გავრცელება ჰპოვა პეკინურმა იხვმა. პეკინური იხვის გარდა ჩვენს ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული მუშკიანი იხვი. იგი თავისი ბიოლოგიური თავისებურებებით გამოირჩევა. მისი ხორცი გარეული იხვისას წააგავს და დელიკატესად ითვლება. გამოირჩევა ინკუბაციის თავისებურებით, თუ პეკინური იხვის კვერცხის ინკუბაციის ხანგრძლიობა არის 31 დღე, მუშკიანი იხვის კვერცხის ინკუბაციის ხანგრძლიობა შეადგენს 35 დღეს. გარდა ამ ორი ჯიშისა საქართველოში გავრცელებულია იხვის სხვადასხვა პოპულაცია, რომლებიც ადგილობრივ პირობებს კარგად არიან შეგუებულნი.

ამჟამად, მუშკიანი იხვის მოშენებასაც ინტენსიურად იწყებენ, რადგან მისი ხორცი ნაკლებციხიმიანობით გამოირჩევა და საუკეთესო საგემოვნო თვისებებით ხასიათდება. ეს იხვი სხვადასხვა ფერისაა: გვხვდება თეთრი, შავი, ცისფერი, ბრინჯაოსფერი, ზოლიანი და სხვა შეფერილობებიც. სქესობრივი დიმორფიზმი მკვეთრად აქვს გამოხატული, მამლების ცოცხალი მასა (4,5-6) კგ-მდეა, ხოლო დედლების (2,2-3,2) კგ. მოზარდის სუქება (10-12) კვირა გრძელდება.

მუშკიანი იხვი

მუშკიანი იხვი მიეკუთვნება გარეული იხვის ნაირსახეობას. წარმოშობის ადგილად მიჩნეულია სამხრეთ-ამერიკა. ევროპაში შემოყვანილია XVI საუკუნის შუა წლებში ესპანელი მეზღვაურების მიერ.

გარეგნულად განსხვავდება ჩვეულებრივი იხვისაგან: სხეულის განსხვავებულ ფორმებთან ერთად ნისკარტისა და თვალის ირგვლივ მათ წითელი შეფერილობის წანაზარდი აქვთ.

ძირითადად გვხვდება შავი, თეთრი, შავი-თეთრი ფრთებით, ცისფერი-თეთრი ფრთებით და მოცისფრო-მოთეთრო შეფერილობის. ამასთან, იშვიათია ერთგვაროვანი ფერის ბუმბულის მქონე ინდივიდები.

ძირითადი მახასიათებლები:

- მამლების ცოცხალი მასა (4,3-6,2)კგ;
- დედლების-(2,5-3,5) კგ-ა;
- კვერცხის დებას იწყებს(6-8) თვის ასაკში;
- კვერცხდების პირველი ციკლი გრძელდება(5-6) თვე, შემდეგ კი იწყება განგური. მეორე ციკლი გრძელდება სამი თვე.
- წელიწადში დებს 140 ცალამდე, (70-100) გ მასის კვერცხს;
- ინკუბაციის ხანგრძლივობა 34-37 დღე.

ადრე მას აშენებენ როგორც დეკორატიულ-ეგზოტიკური ფრინველს. ამასთან, მუშკიან იხვს აქვს გარკვეული სამეურნეო მნიშვნელობა. მისი ხორცი ნაზი, ნაკლებად ცხიმოვანი და დიეტურია, ქიმიური შედგენილობით არ ჩამოუვარდება წიწილა-ბროილერის ხორცს, ხოლო ღვიძლი საგემოვნო თვისებებით უტოლდება ბატის ღვიძლს.

ნაკლოვანი მხარეებიდან მიუთითებენ დაბალი აღწარმოების უნარს-ხელოვნურად ინკუბაციისას ჭუჭულის გამოსავალი(55-60)%- ის ტოლია. ამის გამო მუშკიან იხვს აჯვარებენ პეკინური და ხაკი-კემპზელის ჯიშებთან. ჰიბრიდებს უწოდებენ მულარდებს.

იხვი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფრინველია მსოფლიოში. მისი მოშინაურება გარეული იხვისგან (*Anas boschas*) რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად მოხდა.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ იხვის მოშენებას საბერძნეთში ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე 3 საუკუნეში მისდევდნენ. დაახლოებით ამ პერიოდში იხვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც აშენებდნენ. ამერიკაში კოლუმბის აღმოჩენამდე მუშკიანი იხვი (*Galina moschata*) მოშინაურებული იყო.

გარეული იხვი გადამფრენი ფრინველია, ძირითადად გავრცელებულია აზიასა და ევროპაში. იგი ითვლება წყალსატევის ფრინველად. მისი ცოცხალი მასა 1,0-1,3 კგ-ია.

იხვს წყალში მცურავი ფრინველისათვის დამახასიათებელი ექსტერიერი და კონსტიტუცია აქვს. იგი მაღალი ცხოველმყოფელობით, გამძლეობით და გარკვეული

დაავადებების მიმართ რეზისტენტობით გამოირჩევა, ადვილად ეგუება შენახვის სხვადასხვა პირობებს, და არის ყველაფრისმჭამელი (პოლიფაგი) ფრინველი.

ცნობილია იხვის მრავალი ჯიში, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში და განსხვავებულ კლიმატურ პირობებშია გამოყვანილი. იხვის ასეთი კულტურული ჯიშები მაღალი აღწარმოების უნარით, ადრეულობით და კარგი კვერცხმდებლობით ხასიათდებიან.

სამეურნეო თვისებების მიხედვით იხვის ჯიშები იყოფა მეხორცულ, მეხორცულ-მეკვერცხულ, მეკვერცხულ და დეკორატიულ ჯიშებად. დასახელებული ჯიშებიდან განსაკუთრებით დიდი გავრცელება ჰპოვა პეკინურმა იხვმა.

პეკინური იხვი ჩინური წარმოშობისაა. ისტორიული წყაროების თანახმად იგი, როგორც ჯიში, სამი საუკუნის წინათ პეკინის სამხრეთ ნაწილში გამოიყვანეს და ევროპასა და ამერიკაში აქედან გაიყვანეს. ყველგან ჩამოყალიბდა როგორც საუკეთესო მეხორცული ჯიში, რომელსაც დიდი მალმწიფადობა და ხორცის მაღალი ხარისხი ახასიათებს. საქართველოში კი გასული საუკუნის დასაწყისში შემოიყვანეს.

პეკინური იხვი თეთრი ფერისაა, მისთვის დამახასიათებელია ფართო, გრძელი და ღრმა სხეული, კარგად განვითარებული მკერდით; ფართო, ბრტყელი, საშუალო სიგრძის თავი, კისერი ხორციანი; ფართე და გრძელი ზურგი; ნისკარტი მოყვითალო-ნარინჯისფერი, საშუალო სიგრძის, ოდნავ ჩაღუნული; მოწითალო-ნარინჯისფერი საშუალო სიმაღლის ფეხები; სხეულზე მკვერცხად განლაგებული პატარა ზომის ფრთები.

ზრდასრული იხვის ცოცხალი მასა — დედლის 3,0-3,6 კგ-ია; მამლის — 3,5-4,0 კგ. ერთ ციკლზე კვერცხმდებლობა 100-140 ცალია. შესწავლილია, რომ კარგი კვება-მოვლის პირობებში მეორე წელს კვერცხმდებლობა არ მცირდება და ზოგიერთი ეგზემპლარები 200 ცალსაც აღწევენ. კვერცხის საშუალო მასა 85 გ-ია. ჭუჭყულს ახასიათებს ზრდის სისწრაფე, 50-55 დღის ასაკში აღწევენ 2,7-3,0 კგ-მდე. ხორცი მაღალი ხარისხისაა.

პეკინური იხვი ამტანია, არ საჭიროებს წყალსატევებს და ამიტომ ინტენსიურ გამოზრდასა და შენახვას ადვილად ეგუება.

პეკინური იხვის გარდა ჩვენს ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული მუშკიანი იხვი. იგი თავისი ბიოლოგიური თავისებურებებით გამოირჩევა. მისი ხორცი გარეული იხვისას წააგავს და დელიკატესად ითვლება. გამოირჩევა ინკუბაციის თავისებურებით, თუ პეკინური იხვის კვერცხის ინკუბაციის ხანგრძლიობა არის 31 დღე, მუშკიანი იხვის კვერცხის ინკუბაციის ხანგრძლიობა შეადგენს 35 დღეს. გარდა ამ ორი ჯიშისა საქართველოში გავრცელებულია იხვის სხვადასხვა პოპულაცია, რომლებიც ადგილობრივ პირობებს კარგად არიან შეგუებულნი.

იხვები მალმწიფადობით, საკვებისადმი ნაკლები მომთხოვნელობით და გამძლეობით გამოირჩევიან. ისინი თავიანთ ცოცხალ მასას 7 კვირის ასაკისათვის 55-60-ჯერ ზრდიან და 1 კგ წონამატზე 2,7-2,9 კგ საკვებს ხარჯავენ. იხვის გამოზრდა შესაძლებელია როგორც ინტენსიური, ასევე ექსტენსიური შენახვის პირობებში. ფერმერული მეურნეობის პირობებში იხვის შენახვა უმჯობესია მსუბუქი ტიპის საფრინველეში ტბის, წყალსაცავის, ან მდინარის ნაპირზე.

კარგი ადაპტაციის უნარი ხელს უწყობს იხვის მოშენებას სხვადასხვა კლიმატურ ზონაში. ზრდის მაღალი ტემპი გაძლიერებული ნივთიერებათა ცვლით და ჟანგბადზე დიდი მომთხოვნელობითაა განპირობებული.

ამჟამად, მუშკიანი იხვის მოშენებას ინტენსიურად იწყებენ, რადგან მისი ხორცი ნაკლებციმიანობით გამოირჩევა და საუკეთესო საგემოვნო თვისებებით ხასიათდება. ეს იხვი სხვადასხვა ფერისაა: გვხვდება თეთრი, შავი, ცისფერი, ბრინჯაოსფერი, ზოლიანი და სხვა შეფერილობებიც. სქესობრივი დიმორფიზმი მკვეთრად აქვს გამოხატული, მამლების ცოცხალი მასა 4,5-6 კგ-მდეა, ხოლო დედლების 2,2-3,2 კგ. მოზარდის სუქება 10-12 კვირა გრძელდება.

მშობელთა გუნდი

მშობელთა გუნდის შენახვა ისეთი ტიპის საფრინველებში უნდა ხდებოდეს, სადაც ოპტიმალური მიკროკლიმატი დაცული იქნება. კერძოდ, ოპტიმალური ტემპერატურა +18-20°C, შეფარდებითი ტენიანობა 70%, ზამთარში 80%. აუცილებელია ჰაერში მავნე აირების შემცველობას კონტროლი დაეწიოს. დასმის სიმჭიდროვე 2,5 ფრთას 1 მ² უნდა შეადგენდეს. სქესობრივი შეფარდება უნდა იყოს 1 : 4.

მშობელთა გუნდის დანიშნულებათა საინკუბაციო კვერცხის წარმოება. მშობელთა გუნდის დასაკომპლექტებლად განსაკუთრებით აწარმოებენ სარემონტო მოზარდის გადარჩევას ექსტერიერით, ცოცხალი მასით და განსაკუთრებულ ყურადღებას კიდურებს და შებუმბვლის მდგომარეობას აქცევენ.

პეკინური იხვი კვერცხდებას (6-6,5) თვის ასაკში იწყებს, მუშკიანი — (7-7,5) თვის ასაკში. ნორმალური კვება-მოვლის პირობებში 5-6 კვირის განმავლობაში იხვის კვერცხების ინტენსივობა 90%-მდე აღწევს. განათების რეჟიმი ისე უნდა იყოს დაცული, რომ, როდესაც კვერცხმდებელი 180-190 დღეს მიაღწევს, განათება საფრინველში 17 საათი იყოს. 3-4 კვერცხმდებელზე ეწყობა 1 საბუდარი, რომლის ზომებია: სიგრძე 40 სმ., სიგანე-30 სმ. და სიმაღლე 20 სმ. საბუდარი იატაკიდან 10-15 სმ. სიმაღლეზე კეთდება.

საფრინველში ქვეშაფენად შეიძლება გამოვიყენოთ ნამჯა, ნახერხი, ან ტორფი. თავდაპირველად ქვეშაფენს ყრიან 5-7 სმ სიმაღლეზე, შემდეგ თანდათან შესაძლებელია დამატება. 1 ფრთაზე სულ 20 კგ. საფენი იხარჯება.

მშობელთა გუნდის კვება სრულფასოვანი უნდა იყოს. კომბინირებული საკვების შემადგენლობაში აუცილებელია შედიოდეს 55-65%-მარცვალი (სასურველია 2-3 სახის — ყვითელი სიმინდი, ხორბალი, ქერი), 5-10%-ქატო, 6-8%-მზესუმზირის კოპტონი, 3-4%-ცხოველური საკვები, 10-15%-ბალახის ფქვილი და 4-6%-მინერალური საკვები.

სარემონტო მოზარდის გამოზრდა

სარემონტო მოზარდის გამოზრდა ყველაზე საპასუხისმგებლოა, რადგან იხვს გადასუქებისკენ ან ნაადრევი სქესობრივი მომწიფებისკენ აქვს მიდრეკილება. ამ მოზარდის მიღება სასურველია მოხდეს 8 თვის ასაკის სადღეე გუნდიდან, როდესაც საინკუბაციო კვერცხის მასა არ იქნება 75 გ-ზე ნაკლები. ერთდღიან ასაკში სქესზე გადარჩევას აწარმოებენ, რომლის ტექნიკაც ასეთია: იხვს იყვანენ მარცხენა ხელისგულზე ზურგით ხელის გულისაკენ და ფრთხილად ხსნიან კლოაკას. თუ მამრობითი სქესია კლოაკის ლორწოვან გარსზე, შეინიშნება პატარა ბორცვაკი, რაც მდედრობით სქესს არ ახასიათებს. დახარისხების სიზუსტე 98%-ია. სარემონტო მოზარდს 26

კვირის ასაკამდე ზრდიან, შემდეგ მშობელთა გუნდში გადაჰყავთ. მუშკიანი იხვის სარემონტო მოზარდის გამოზრდას 10-11 კვირის ასაკამდე აწარმოებენ.

პეკინური იხვის სარემონტო მოზარდის მამალი 6 კვირის ასაკში 3,0 კგ-ს უნდა იწონიდეს, ხოლო დედალი – 2,8 კგ-ს. მუშკიანი იხვის მამალი 11 კვირის ასაკში უნდა იწონიდეს 3,6-3,9 კგ-ს, დედალი – 2,8-3,0 კგ-ს. საკვები ფრონტი 1 ფრთაზე 9 სმ-ია, ხოლო დარწყულების ფრონტი – 7 სმ. სარემონტო მოზარდის გამოსაზრდელად საფრინველში დაცული უნდა იყოს იგივე მიკროკლიმატი, როგორც მშობელთა გუნდის გამოზრდის შემთხვევაში. განათების რეჟიმი კი ასეთია: პირველი 1 კვირა 24 საათიანი განათება, 6 კვირის ასაკამდე ხანგრძლიობა მცირდება 8 სთ-მდე, 7 კვირიდან 25 კვირამდე ჰყავთ სტაბილურ 8 სთ-იან განათებაზე.

გამოზრდისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენიჭება. სასურველია შემდეგი საკვების სტრუქტურა (%): მარცვლოვანი საკვები-58,3, ქატო-14, კოპტონი-4, ცხოველური საკვები-5, ბალახის ფქვილი-15, მინერალური საკვები-3,7.

სახორცე მოზარდის გამოზრდა

სახორცედ გამოზრდაც ღრმა ქვეშაფენზე წარმოებს. ერთდღიან იხვებს გამოსაზრდელად სვამენ გამოჩეკიდან არაუმეტეს 12 სთ-ის განმავლობაში. ახალგამოჩეკილი იხვი მოძრავი უნდა იყოს, რეაგირებდეს ხმაურზე, მუცელი აკრული უნდა ქონდეს, ბუმბული სუფთა და თანაბარი, ცოცხალი მასა არანაკლებ 45 გ-ისა. მუშკიანი იხვის გამოზრდას აწარმოებენ 10-11 კვირის ასაკამდე. პეკინური იხვი უფრო სწრაფად იზრდება, ამიტომ მათი დაკვლა მიზანშეწონილია 6-7 კვირის ასაკში.

ტემპერატურული რეჟიმი მოზარდის გამოზრდის დროს უნდა იყოს შემდეგი:

პირველი 1 კვირის განმავლობაში იატაკთან +33-34°C, შემდეგ ტემპერატურას თანდათან ამცირებენ და 3 კვირისთვის დაჰყავთ +16-18°C-ზე გადაჰყავთ. შენობაში ფარდობითი ტენიანობა 65-75% უნდა იყოს.

3 კვირის ასაკამდე საკვების ფრონტი უნდა შეადგენდეს 1,5-2 სმ-ს, შემდეგ 2 – 4 სმ-ს, დარწყულების ფრონტი შესაბამისად 1 და 2 სმ-ს. სასურველია საიხვეში დღეში ორჯერ წყალი გამოიცვალოს. 1-7 კვირამდე იხვს ერთ ფრთაზე დღეში დარწყულებისათვის 1,1 ლ წყალი ესაჭიროება.

მუშკიან იხვს დღეში ესაჭიროება: პირველ კვირას 0,1 ლ წყალი, II კვირას-0,15 ლ., III კვირას-0,25 ლ., IV კვირას-0,32 ლ. შემდეგ დაკვლამდე-0,45 ლ. წყალი. წყლის ნაკლებობა ზრდას ამცირებს, ხოლო 24 საათი უწყლობა-წონამატის ზრდას, რომლის კომპენსირებას 10 დღე სჭირდება.

კიდევ უფრო რენტაბელიურია იხვების გამოზრდა წყალსატევთან ახლოს. მაგ., მეთევზეობის წყალსაცავთან ახლოს გამოზრდა საკვების დანახარჯს ამცირებს(30-40)%-ით.

13ა. ფართობის მქონე წყალსატევეზე იხვის რაოდენობა(120-150) ფრთას არ უნდა აღემატებოდეს. ასეთი ოპტიმალური დატვირთვის შემთხვევაში ნაკელის გამოყოფის ხარჯზე წყლის ბიომასა იზრდება და იხვი წარმატებით იყენებს მასში არსებულ წყალმცენარეებს.

იხვებისათვის სახორცედ გამოზრდის შემთხვევაში აუცილებელია სრულფასოვანი კვება, რადგან იხვის ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე მისთვის დამახასიათებელია ზრდის მაღალი ტემპი და საკვების კარგი ათვისების უნარი. პირველ კვირას აუცილებელია საკვებში

იყოს პროტეინის მაღალი დონე (21%) და სამიმოცვლო ენერგია 1,26 მგ./ჯოული. იხვის სუქების პერიოდი 55 დღემდე გრძელდება. ამის შემდეგ ორგანიზმში ზრდის ინტენსივობა მცირდება.

ამრიგად, როგორც პეკინური, ასევე მუშკიანი იხვის გამოზრდა მაღალრენტაბელურია, როგორც ფერმერული (გლეხური) მეურნეობის პირობებში, ასევე სამრეწველო საფუძვლებზე, რადგან იხვი დროის მოკლე შუალედში საუკეთესო საგემოვნო თვისებების მაღალი ხარისხის ხორცს იძლევა .

სახორცე მოზარდის გამოზრდა: სახორცედ გამოზრდაც ღრმა ქვეშაფენზე წარმოებს. ერთდღიან იხვებს გამოსაზრდელად სვამენ გამოჩევიდან არაუმეტეს 12 სთ-ის განმავლობაში.

ახალგამოჩევილი იხვი მოძრავი უნდა იყოს, რეაგირებდეს ხმაურზე, მუცელი აკრული უნდა ქონდეს, ბუმბული სუფთა და თანაბარი, ცოცხალი მასა არანაკლებ 45 გ-ისა. მუშკიანი იხვის გამოზრდას აწარმოებენ 10-11 კვირის ასაკამდე. პეკინური იხვი უფრო სწრაფად იზრდება, ამიტომ მათი დაკვლა მიზანშეწონილია 6-7 კვირის ასაკში.

ტემპერატურული რეჟიმი მოზარდის გამოზრდის დროს უნდა იყოს შემდეგი:

პირველი 1 კვირის განმავლობაში იატაკთან +33-34°C, შემდეგ ტემპერატურას თანდათან ამცირებენ და 3 კვირისთვის დაჰყავთ +16-18°C-ზე გადაჰყავთ. შენობაში ფარდობითი ტენიანობა 65-75% უნდა იყოს.

3 კვირის ასაკამდე საკვების ფრონტი უნდა შეადგენდეს 1,5-2 სმ-ს, შემდეგ 2 – 4 სმ-ს, დარწყულების ფრონტი შესაბამისად 1 და 2 სმ-ს. სასურველია საიხვეში დღეში ორჯერ წყალი გამოიცვალოს. 1-7 კვირამდე იხვს ერთ ფრთაზე დღეში დარწყულებისათვის 1,1 ლ წყალი ესაჭიროება. მუშკიან იხვს დღეში ესაჭიროება: პირველ კვირას 0,1 ლ წყალი, II კვირას-0,15 ლ., III კვირას-0,25 ლ., IV კვირას-0,32 ლ. შემდეგ დაკვლამდე-0,45 ლ. წყალი. წყლის ნაკლებობა ზრდას ამცირებს, ხოლო 24 საათი უწყლობა-წონამატის ზრდას, რომლის კომპენსირებას 10 დღე სჭირდება.

კიდევ უფრო რენტაბელურია იხვების გამოზრდა წყალსატევთან ახლოს. მაგ., მეთევზეობის წყალსაცავთან ახლოს გამოზრდა საკვების დანახარჯს ამცირებს 30-40%-ით. 13ა. ფართობის მქონე წყალსატევეზე იხვის რაოდენობა 120-150 ფრთას არ უნდა აღემატებოდეს. ასეთი ოპტიმალური დატვირთვის შემთხვევაში ნაკელის გამოყოფის ხარჯზე წყლის ბიომასა იზრდება და იხვი წარმატებით იყენებს მასში არსებულ წყალმცენარეებს.

იხვებისათვის სახორცედ გამოზრდის შემთხვევაში აუცილებელია სრულფასოვანი კვება, რადგან იხვის ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე მისთვის დამახასიათებელია ზრდის მაღალი ტემპი და საკვების კარგი ათვისების უნარი. პირველ კვირას აუცილებელია საკვებში

იყოს პროტეინის მაღალი დონე (21%) და სამიმოცვლო ენერგია 1,26 მგ./ჯოული. იხვის სუქების პერიოდი 55 დღემდე გრძელდება. ამის შემდეგ ორგანიზმში ზრდის ინტენსივობა მცირდება.

ამრიგად, როგორც პეკინური, ასევე მუშკიანი იხვის გამოზრდა მაღალრენტაბელურია, როგორც ფერმერული (გლეხური) მეურნეობის პირობებში, ასევე სამრეწველო საფუძვლებზე, რადგან იხვი დროის მოკლე შუალედში საუკეთესო საგემოვნო თვისებების მაღალი ხარისხის ხორცს იძლევა .

სახლის იხვი, მხოლოდ ხორცი. ქიმიური შემადგენლობა და კვებითი ღირებულება-100გრ:

კალორიულობა 135 კკალ 8.76%

ცილა	18.3 გ	19.89%
ცხიმი	6 გ	8.82%
ნახშირწყლები	0.9 გ	0.64%
საკვები ბოჭკოვანი	0 გ	0%
წყალი	74 გ	2.7%

სასარგებლო თვისებები - ხორცი მხოლოდ:

შინაური იხვი, მხოლოდ ხორცი მდიდარია ვიტამინებით და მინერალებით, როგორცაა:

ვიტამინი B1 - 24%, ვიტამინი B2 - 25%, ვიტამინი B5 - 32%, ვიტამინი B6 - 17%, ვიტამინი B12 - 13.3%, ვიტამინი PP - 26, 5%, ფოსფორი - 25.4%, რკინა - 13.3%, სპილენძი - 25.3%, სელენი - 25.3%, თუთია - 15.8%

რით არის სასარგებლო შინაური იხვი, მხოლოდ ხორცი?

- **ვიტამინი B1** არის ნახშირწყლებისა და ენერჯის მეტაბოლიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ფერმენტების ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმს ენერჯით და პლასტიკური ნივთიერებებით, აგრეთვე განაწილებული ამინომჟავების მეტაბოლიზმში. ამ ვიტამინის დეფიციტი იწვევს ნერვული, საჭმლის მომნელებელი და გულსისხლძარღვთა სისტემის სერიოზულ დარღვევებს.
- **ვიტამინი B2** მონაწილეობს რედოქსურ რეაქციებში, აძლიერებს ვიზუალური ანალიზატორის მიერ ფერის მგრძნობელობას და მუქი ადაპტაციას. ვიტამინ B2- ს არასაკმარის მიღებას თან ახლავს კანის, ლორწოვანი გარსების მდგომარეობის დარღვევა, ასევე მსუბუქი და მკვდარი მხედველობის დარღვევა.
- **ვიტამინი B5** მონაწილეობს ცილაში, ცხიმში, ნახშირწყლების მეტაბოლიზმში, ქოლესტერინის მეტაბოლიზმში, რიგი ჰორმონების სინთეზში, ჰემოგლობინში, ხელს უწყობს ამინომჟავების და შაქრის შეწოვას ნაწლავში, ხელს უწყობს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის მუშაობას. პანტოტენინის მჟავის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის და ლორწოვანი გარსების დაზიანება.